პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 163 (5193)

1974 წ. 18 აგვისტო, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფეხბურთი ფეხბურთი



„ოქროს თავთავის“ თასის მფლობელი

● ●

სურათებზე: „ოქროს თავთავის“ რესპუბლიკური თასის მფლობელი — ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა კოლექტივი, მარცხნივ — გუნდის მწვრთნელი ბ. გიორგაძე; ლაითურელთა კაპიტანი ო. კილაძე საპატიო პრიზით ხელში.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

## სსრ კავშირის პირველობა

[illegible]

მოსკოვი, 16 აგვისტო. აქ შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი ცსკა-სა და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის.

გამარჯვება წილად ხვდა ცსკა-ს. გოლი მე-12 წუთზე გაიტანა დოროფეევმა.

უმაღლესი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

I ლიგა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 24 | 12 | 6 | 6 | 31—18 | 30 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 23 | 12 | 5 | 6 | 42—21 | 29 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 24 | 11 | 7 | 6 | 35—24 | 29 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 23 | 13 | 3 | 7 | 30—25 | 29 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 24 | 11 | 6 | 7 | 35—25 | 28 |
| „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 23 | 11 | 4 | 8 | 41—28 | 26 |
| „დინამო“ (მინსკი) | 23 | 10 | 6 | 7 | 32—26 | 26 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 24 | 9 | 7 | 8 | 21—23 | 25 |
| „შინნიკი“ (იაროსლავლი) | 22 | 8 | 8 | 6 | 27—24 | 24 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 24 | 7 | 9 | 8 | 22—25 | 23 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 24 | 8 | 7 | 9 | 25—30 | 23 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 24 | 8 | 7 | 9 | 30—38 | 23 |
| „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) | 24 | 5 | 12 | 7 | 24—25 | 22 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 24 | 9 | 4 | 11 | 28—39 | 22 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 24 | 7 | 7 | 10 | 25—32 | 21 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 22 | 7 | 6 | 9 | 23—28 | 20 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 23 | 6 | 7 | 10 | 20—26 | 19 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 24 | 6 | 7 | 11 | 33—45 | 19 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 21 | 5 | 8 | 8 | 22—24 | 18 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 22 | 2 | 6 | 14 | 18—38 | 10 |



## მოსკოველთა გამარჯვება

მადრიდი, 16 აგვისტო. მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ესპანეთის ქ. სანტანდერში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

მოსკოველებმა ფინალში ანგარიშით 3:1 მოუგეს ადგილობრივ „სანტანდერს“.

## მსოფლიო რეკორდსმენი მეორე იყო

ვიარეჯო, 16 აგვისტო. იტალიის ამ ქალაქში მოწყობილ მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში საინტერესო გამოდგა სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრება. I ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ მსოფლიო რეკორდსმენი, ამერიკელი დ. სტოუნზი და მასპინძელი ე. დელ ფორნო. გაიმარჯვა იტალიელმა, რომელმაც მეტოქეს ორი სანტიმეტრით აჯობა (220) და თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა.

დანარჩენ სახეობებში წინ იყვნენ ამერიკელი მძლეოსნები. 100 და 200 მეტრზე რბენაში ტოლი არ ჰყავდა ს. უილიამსს (შესაბამისად 10,2 და 20,2), 110- და 400 მეტრზე თარჯრბენში — ჩ. ფოსტერსა (13,5) და ჯ. ბოლდინგს (48,9), 3000 მეტრზე ქალთა რბენაში — ფ. ლარიოს — 9.03,2.

## ორი ლიდერი

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში მიმდინარე ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის IV ტურში ლენინგრადელმა სტუდენტმა კოჩიევმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ მარიანოვიჩთან. ამავე ტურში შვედმა შნაიდერმა მოუგო ამერიკელ უინსტონს. ახლა შვედსა და საბჭოთა მოჭადრაკეს 3,5 ქულა აქვთ.

მათი დაწევა შეუძლია ინგლისელ მაილს, რომელმაც ბრაზილიელ სუნიეხტოსთან პარტია გადადო უკეთეს მდგომარეობაში. IV ტურის დანარჩენ შეხვედრებში კოლუმბიელმა ხენაომ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ დიკსთან, არგენტინელმა გიარდელიმ პირველი გამარჯვება იზეიმა ფინალში — მოუგო მაკს (გფრ).

საბჭოთა საჭადრაკო დელეგაციამ ფილიპინების პრეზიდენტს ფ. მარკოსს საბჭოთა სპორტსმენების სახელით გადასცა საკავშირო სპორტკომიტეტისა და სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის ვიმპელი და თასი. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პასუხისმგებელი მდივანი ა. პუმპიანსკი. დელეგაციის შემადგენლობაშია არიან დიდოსტატი ე. ვასიუკოვი და ა. კოჩიევი.

სამახსოვრო საჩუქრები ფილიპინების პრეზიდენტს გადასცეს ჩემპიონატის მონაწილეებთან და გუნდების წევრებთან მისი შეხვედრის დროს. პრეზიდენტმა საგანგებოდ აღნიშნა ჭაბუკთა ჩემპიონატების დიდი როლი ახალგაზრდობის დაახლოებისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

## 13 წლის შემდეგ

13 წლის წინათ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში ჩატარდა X მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. აგვისტოს ბოლო დღეს სტარტი მიეცემა XX მსოფლიო ჩემპიონატს და მასპინძელი კვლავ მოსკოვი იქნება, ოღონდ ამჯერად აქ ორი ასპარეზობა გაიმართება თანამედროვე ხუთჭიდში — უფროსებისა და იუნიორებისთვის. სხვათა შორის, ეს პირველი ჩემპიონატია, როცა იუნიორები და უფროსები ერთად იასპარეზებენ.

მოსკოვში ჩამოვლენ ავსტრიის, ავსტრალიის, ბულგარეთის, ინგლისის, უნგრეთის, ჰოლანდიის, დანიის, ესპანეთის, იტალიის, კანადის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, აშშ-ს, ფინეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შვეციის, იაპონიის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, მონაწილეთა შორის იქნებიან საბჭოთა სპორტსმენებიც.

ჩემპიონატის თავისებურება გახლავთ ისიც, რომ შეჯიბრებები გაიმართება ერთ კომპლექსში — ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე.

საბჭოთა გუნდის ღირსებას მსოფლიო ჩემპიონატში უფროსებს შორის დაიცავენ 28 წლის ვ. შმელიოვი (მოსკოვის ოლქი), 31 წლის ლვოველი პ. ლედნიოვი, 37 წლის კიეველი ბ. ონიშჩენკო. მეოთხე ადგილის პრეტენდენტები არიან 25 წლის მოსკოველი პ. გორლოვი და 26 წლის ლვოველი ლ. ივანოვი. პირველმა სამმა, როგორც ცნობილია, შეადგინა გუნდი, რომელმაც გაიმარჯვა მიუნხენის ოლიმპიადაში და 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

## ლაპარაკობენ ბანაკის სტუმრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშანბე, 15 აგვისტო. „ჩვენი დიდი სურვილია, რომ „პამირ-74“-ის მსგავსი მთამსვლელთა საერთაშორისო ბანაკები ამ რაიონში ყოველწლიურად ეწყობოდეს“, — უთხრა პამირიდან დაბრუნების შემდეგ საკდესის კორესპონდენტს ავსტრიის მთამსვლელთა გუნდის ხელმძღვანელმა გუსტავ დიზერლმა.

„პამირი-74“ შესანიშნავად მოწყობილი ბანაკია — განაგრძო მან. — ორგანიზატორებმა საუცხოო პირობები შეუქმნეს ყველა მონაწილეს — აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ლიხტენშტეინის, გფრ-ის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, იაპონიის მთამსვლელებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ლენინის პიკზე და სხვა მწვერვალებზე იერიშის მისატანად“. დიზერლის სიტყვებით, ავსტრიის გუნდი კვალიფიციური საბჭოთა მწვრთნელების დიდი ყურადღებითა და ზრუნვით იყო გარემოსილი. ძალიან კარგად მუშაობდა მომსახურე პერსონალი.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტისა და საბჭოთა მთამსვლელობის ფედერაციის მოწვევით ბანაკში ჩამოვიდა 60-ზე მეტი ალპინისტი, რომლებმაც ლენინის პიკი დაიპყრეს. უკვე 15 წელია სსრ კავშირსა და ავსტრიას შორის მთამსვლელთა ჯგუფების გაცვლა-გამოცვლა ხდება. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის სსრ კავშირ — ავსტრიის მეგობრობის საზოგადოებას. ამჟამად ავსტრიის ალპებში სტუმრადაა 15 კამჩატკელი სპორტსმენი.

იაპონელ მთამსვლელებს ხელმძღვანელობდა ნიიგატის უნივერსიტეტის პროფესორი სიგეკი ფუსე. სხვათა შორის, პირველი იაპონელი პამირის მთებს ჯერ კიდევ 1868 წელს ეწვია. ეს იყო ბუდისტი ოტანი კოძუი, რომელიც ლონდონიდან ფეხით ბრუნდებოდა იაპონიაში მოსკოვის, კავკასიის, პამირის, ტიბეტისა და ინდოეთის გავლით. მართალია, იგი ხეობებს მიჰყვებოდა და ცდილობდა მაღალი მთებისთვის გვერდი აევლო. ამჯერად კი მისი თანამემამულეები პირიქით იქცეოდნენ.

— იაპონელებმა, — თქვა ფუსემ, — მიაღწიეს იმას, რაც წინათ მათთვის შეუძლებლად ითვლებოდა: იერიში მიიტანეს „7-ათასიანზე“.

შინ იაპონელები გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ, მაგრამ ზღვის დონიდან 8000 მეტრზე მაღლა არ ასულან.

გუნდის ხელმძღვანელმა მადლიერებით მოიხსენია საბჭოთა მწვრთნელები. მან განსაკუთრებით აღნიშნა თავისი საქმის დიდი ოსტატები — ვიტალი აბალაკოვი და კონსტანტინე კლეცკო.

საბჭოთა მთამსვლელებმა დახმარება გაუწიეს გფრ-ის ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, მიუნხენელ ლოტარ ოპერმაიერს, რომელიც კინოგადაღებამ გაიტაცა და მთებში სხვებს ჩამორჩა. ამ დროს ამინდი უეცრად შეიცვალა. ამოიჭრა ქარიშხალი, მაგრამ მაშველი რაზმი ამ რთულ სიტუაციაშიც არ დაიბნა და 6700 მეტრ სიმაღლეზე მიაგნო გერმანელ მთამსვლელს. ოპერმაიერი იყინებოდა, სიარული უკვე აღარ შეეძლო და თოვლზე ძლივსღა მიხოხავდა.

დასავლეთგერმანელმა ინჟინერმა ვ. შტიუკლმა თქვა: „ბანაკში მუშაობა საუცხოოდაა ორგანიზებული. ამას მოწმობს პირველ ყოვლისა ჩვენი მთამსვლელების წარმატება, რომლებიც საოცრად რთულ პირობებში ავიდნენ ლენინის პიკზე. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბანაკში მრავალი ქვეყნის მთამსვლელებს დავუმეგობრდით“.

ვ. ბურაკოვსკი.

[illegible]

მიზანი — სპარტაკიადისთვის მზადება

# ესტაფეტას ლეგულობს საბჭოთა სპორტის დიდი ფორუმი

საბჭოთა კავშირის 45-ე ჩემპიონატი და ჭაბუკთა პირველობა ცურვაში ცოტა უჩვეულოდ ჩატარდა. შეჯიბრების ახალმა დებულებამ უძლიერეს მოცურავე ქალებს ხარკოვში მოუყარა თავი, ხოლო ვაჟებს — ერევანში. მონაწილეებსა და მწვრთნელებს ძალიან რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. თავისი გუნდისთვის ჩასათვლელი ქულები რომ მიეცა, სპორტსმენი აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო რვა უძლიერესს შორის. თუ დადგენილ ნორმატივს ვერ შეასრულებდა, თანაც საკმაოდ მაღალს, ჩემპიონიც რომ გამხდარიყო, გუნდს ქულას ვერ მისცემდა. მაგრამ ჩემპიონატის დებულების შემდგენლებს ესეც ცოტა ეჩვენათ. ყველა მოცურავე, ვინც ნორმატივს ვერ შეასრულებდა, ისჯებოდა: უფროსებს აკლდებოდათ 30 ქულა, ჭაბუკებსა და ქალიშვილებს — 15 ქულა. ხოლო მას, ვინც სტარტზე არ გამოვიდოდა, 5 ქულა აკლდებოდა.

ნებისმიერი ასპარეზობა სპორტსმენის ოსტატობის დონის შემოწმებაა. ესაა ადამიანის კიდევ ერთი შეჯიბრება მეტრებთან, კილოგრამებთან, წამებთან. ისეთი დიდი ასპარეზობა, როგორიც საკავშირო ჩემპიონატია, მართლაც მკაცრი გამოცდაა. სხვაგან სად, თუ არა ამ შეჯიბრებაში უნდა ისწავლოს სპორტსმენმა გამარჯვებისთვის ბრძოლა, არა მარტო გამარჯვებისთვის ბრძოლა, არამედ წაგებასთან შერიგებაც. განა სპორტსმენი დამნაშავეა იმაში, რომ სახელდობრ ამა თუ იმ შეჯიბრებაში ვერ შეძლო თავისი საუკეთესო შედეგის ჩვენება? იგი ისედაც დასჯილია იმით, რომ ხელი მოეცარა, რომ რაღაც, შეიძლება სულ პატარა ნაკლის გამო ვერ შეძლო სასურველ ადგილზე გასვლა.

შეჯიბრების დებულების ამ ნაკლმა არეულობა შეიტანა მწვრთნელთა გეგმებში, მსაჯთა კოლეგიის მუშაობაში, ქულების დაანგარიშებაში. მაგალითად, ჩვენმა გუნდმა, რომელიც მონაწილეობდა 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში, საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა (8.20,9) და VIII ადგილი დაიკავა, მაგრამ ქულები არ მიუღია. ასეთი არეულობის გამო, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ქულების გაანგარიშება უნდა შემოწმდეს. მეორე მაგალითი: სომხეთის ნაკრებს საერთოდ არც ერთი მონაწილე არ გამოუყვანია ვაჟთა და ჭაბუკთა შეჯიბრებაში. ბუნებრივია, მან ვერც ერთი ქულა მიიღო, მაგრამ X ადგილი მაინც დაიკავა. ბელორუსიის ვაჟთა და ჭაბუკთა გუნდმა, რომელიც პროგრამის ბევრ სახეობაში გამოდიოდა, მინუს 555 ქულა დააგროვა და XVII ადგილი ხვდა. ასეთმა წესმა ახლა შეიძლება მხოლოდ ღიმილი მოგვგვაროს, მაგრამ მაშინ სიცილის თავი ვის ჰქონდა.

მართლაც, შედეგების ზრდის ისეთმა ხელოვნურმა საშუალებამ, როგორიც ზემოხსენებული ქულების დაკლებით დასჯაა, არ შეიძლება სერიოზული დახმარება გაუწიოს ცურვის განვითარებას. ჩემი აზრით, აჯობებს წავახალისოთ ისინი, ვინც თავისი შედეგების გაზრდას ცდილობს. ასეთი სპორტსმენების დასჯა კი მხოლოდ იმათ შეუწყობს ხელს, ვინც მარტო ადგილების დევნაშია და ტრიბუნებზეა მოკალათებული მაყურებელთა შორის.

რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს, შარშანდელთან შედარებით მან საგრძნობი ნახტომი გააკეთა წინ. გაგახსენებთ, რომ შარშან გუნდი XI ადგილზე იყო, ახლა კი VIII ადგილი დაიკავა. 1973 წლის საკავშირო პირველობაში ვაჟთა გუნდის სახელით მხოლოდ ერთი სპორტსმენი გამოდიოდა და საერთო გუნდურ ჩათვლაში უმეტესად ჭაბუკების იმედით ვიყავით. ქალები ამ პირველობაში არ მონაწილეობდნენ, გოგონებმა კი ქულები ვერ მოგვცეს. წლეულს ჩვენმა ქალთა და გოგონათა გუნდებმა 148 ქულა დააგროვეს. აქედან 96 ქულა მეკუთვნის ლ. სუინას, რომელმაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა — 2.32,1. იმავე ასაკობრივ ჯგუფში იგი მეოთხე იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში (1.03,8), ხოლო მეექვსე — ისევ ამ დისტანციაზე გულაღმა ცურვაში (1.13,2). უფროსების შეჯიბრებაში ლ. სუინამ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 2.33,4 აჩვენა, რაც საქართველოს რეკორდია (VI ადგილი). დანარჩენი ქულები გუნდს მოუტანეს 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტის მონაწილეებმა (4.31,8. XIII ადგილი).

ერევანში ვაჟებმა და ჭაბუკებმა 45 ქულა დააგროვეს (65 ქულა დააკლეს). შეიძლებოდა უკეთაც გამოსულიყვნენ, ქულების გაანგარიშების ის ყბადაღებული სისტემა რომ არა. თავად განსაჯეთ, ნ. ბაშარულმა ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში VI ადგილი დაიკავა (1.05,2) და 25 ქულა მიიღო. 200-მეტრიან დისტანციაზე იმავე სტილით შეჯიბრებაში მან IV ადგილი დაიკავა (2.20,2) და მინუს 15 ქულა მიიღო, რადგან ნორმატივში ვერ ჩაეტია. ესე იგი, სპორტსმენმა უკეთ გაცურა, უფრო მაღალი შედეგები აჩვენა, მაგრამ ამით გუნდს მხოლოდ ზიანი მოუტანა. გ. გოდერძიშვილმა, პირიქით, მარათონში ნორმატივი შეასრულა (17.18,8), მაგრამ X ადგილი დაიკავა და არც ერთი ქულა არ მიუღია, თუმცა ეს შედეგი მისი პირადი რეკორდია. ძნელია ეს სპორტსმენი დავადანაშაულოთ იმის გამო, რომ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გუნდს მინუს 30 ქულა მოუტანა. ეს მწვრთნელის შეცდომა უფრო იყო, რადგან სპორტსმენი ამ დისტანციაზე 1500 მეტრზე ცურვის შემდეგ გამოვიდა და, რასაკვირველია, ძალის აღდგენა ვერ მოასწრო. ა. ვეჩხაიზერმა VII ადგილი დაიკავა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.05,7), მაგრამ ქულები ვერ მიიღო. ა. იორდანიშვილმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ნორმატივი შეასრულა, მაგრამ XI ადგილი დაიკავა და ქულა ვერ მიიღო, თუმცა თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა. გამოვიდა რაღაც აბდაუბდა, აბსურდი: სპორტსმენი ნორმატივს ასრულებს, საუკეთესო პირად შედეგს აჩვენებს და გუნდს არაფერში არგია!

ვაჟებმა საქართველოს რეკორდი დაამყარეს 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — 4.13,8. მათ VIII ადგილი დაიკავეს (70 ქულა). როგორც უკვე ვწერდით, იმავე ადგილისთვის 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ჩვენს გუნდს ქულები არ მიუღია. პირველ შემთხვევაში სარეკორდო გაცურვაში მონაწილეობდნენ: ა. ვეჩხაიზერი, ა. იევლევი, გ. გოდერძიშვილი, ი. ლისეცკი. მეორე სარეკორდო ესტაფეტაში გამოდიოდნენ: ა. ვეჩხაიზერი, ა. იორდანიშვილი, გ. გოდერძიშვილი და ი. ლისეცკი.

როგორც ხედავთ, ჩვენმა ვაჟებმა წარმატებას ძირითადად ესტაფეტებში მიაღწიეს. პირად ჩათვლაში ზოგიერთ სპორტსმენს მონაწილეობა არ მიუღია. ზოგი გამოცდებს აბარებდა, ზოგი, მაგალითად ს. მაკაროვი, საჭირო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა წვრთნას და სპორტულ რეჟიმს, ეს კი არ ეპატიება სპორტსმენს, რომელზეც გუნდი გარკვეულ იმედს ამყარებს. საწვრთნელი მეცადინეობის მიმართ ნაკრების სხვა წევრებიც იჩენდნენ ასეთ დამოკიდებულებას. ამის შედეგი იყო სუსტი შედეგები ან საერთოდ უარის თქმა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის წინ ასეთი ფაქტები მხოლოდ შეშფოთებას იწვევს. სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში ხომ შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდება ყოველი მეტრისთვის, ყოველი წამისთვის. ჩვენი გუნდის მდგომარეობა კი სახარბიელო არ არის. განვლილ შეჯიბრებაში მარტო ლ. სუინამ მეტი ქულა მოგვცა, ვიდრე ყველა ვაჟმა და ჭაბუკმა ერთად. წინა სპარტაკიადაში V ადგილი დავიკავეთ მხოლოდ სამი სპორტსმენის — თ. ლეკვეიშვილის, ვ. კრასკოს და ი. ლისეცკის წყალობით. ახლა პერსპექტიული სპორტსმენი მეტი გვყავს, მაგრამ საკმარისი არც ეს არის. ამიტომ, აქედანვე უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რაც გვაქვს. სპორტსმენთა განკარგულებაში უნდა იყოს სპორტული ბაზები, რაც რესპუბლიკას გააჩნია შეჯიბრებებისა და წვრთნისთვის, თუმცა ამ ბაზების რიცხვი ძალიან მცირეა. ამასთან, ინტენსიური წვრთნის პირობებში უნდა ვიფიქროთ სტუდენტ სპორტსმენებზე, რათა სწავლისა და სპორტის შეხამების საკითხი მოგვარდეს. ერთი სპორტსმენის მწყობრიდან გამოსვლამაც კი (ასე მოხდა მაგალითად, ვ. სტიოგანცევის ავადმყოფობის გამო) შეიძლება გავლენა მოახდინოს მთელი გუნდის შედეგებზე.

მაგრამ მოდით, ვიყოთ ოპტიმისტები, მით უმეტეს, რომ საიმედო სპორტსმენები გვყავს. წვრთნას შეუდგა თ. ლეკვეიშვილი, პოზიციების დათმობას არ აპირებს ი. ლისეცკი. ლიდერებს მხარს უბამენ გ. გოდერძიშვილი, ა. იორდანიშვილი, ვ. სტიოგანცევი, ა. ბავინი, ა. ვეჩხაიზერი, ნ. ბაშარული, ი. კუშპელიოვი, ლ. სუინა, ი. პოტაპოვა, ნ. გამჯიაშვილი. გ. მეტრეველი. იზრდებიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებზეც გარკვეულ იმედს ვამყარებთ. ესენი არიან: ი. ომელჩენკო, ვ. ბურმისტროვი, გ. ნიკოლაიშვილი, ვ. საი, ვ. კოველსკი, ა. გიორგაძე, ი. ლეკვეიშვილი, ნ. გელაძე და სხვები.

ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გველის. წარმატებას მხოლოდ მოცურავეების და მათი მწვრთნელების გულმოდგინე, შეუპოვარი შრომით მივაღწევთ.

**ლ. იოაკიმიდი,**

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ცურვაში.




# აი, ვინ გვასახელა!

ა. გურასაშვილის ტექსტი და ფოტოები.

**ნინო დრონოვა** ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გამოვიდა სარბიელზე. ალმა-ათაში იგი უძლიერესი იყო მრავალჭიდში ბელორუსიელ ლ. გორბიკთან ერთად. მათ თანაბრად გაიყვეს I-II ადგილი. ამ ფოტოსურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი. III ადგილზეა ლენინგრადელი ვორონინა.



ნინოს, როგორც ცნობილია, ვერავინ შეეცილა გამარჯვებას თავისუფალ ვარჯიშში, ძელზე კი „ტანვარჯიშის მოცარტს“ II ადგილი ერგო.

**ა. სოლდატოვი** ბელგიაში გამართული ჭაბუკთა არაოფიციალური მსოფლიო პირველობის ჩემპიონია. მისი იმედი ალმა-ათაშიც გვქონდა. და მართლაც, სოლდატოვმა აქაც გამარჯვება მოიპოვა წყალში ხტომაში.

როდესაც თბილისის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლე საპატიო კვარცხლბეკიდან ჩამოვიდა, მას უმალ შემოეხვივნენ ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები, კინოოპერატორები. ამ სურათზე სწორედ ერთ-ერთი ასეთი მომენტია აღბეჭდილი. სოლდატოვი სიამოვნებით აძლევს ინტერვიუს საქართველოს რადიოს სპეციალურ კორესპონდენტს ა. ხომერიკს. მათ საუბარს ფირზე აღბეჭდავს უზბეკეთის ტელევიზიის სპეციალური კორესპონდენტი რ. მანსუროვი.





**რამიზ ბაირამოვმა** შუბის მტყორცნელთა შეჯიბრებაში თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა. ერთ-ერთ ცდაზე იგი გარბენის შემდეგ მოულოდნელად გაჩერდა, მერე კი დინჯად გაემართა მორიგი ცდის შესასრულებლად. სწორედ ამ დროს აცნობეს: ცდის გამოსაყენებლად მხოლოდ 30 წამი გრჩებაო. შეშინებული რამიზი უმალ სტარტისკენ გაიქცა, გამოქანდა და მისი ნატყორცნი შუბი... კიდევ უფრო შორს — 71,98 მეტრზე დაეცა. სწორედ ამ შედეგით მოიპოვა რამიზმა მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონისა და რესპუბლიკის რეკორდსმენის სახელი ჭაბუკებს შორის.



ჰ. ნინიძე (87 კგ) ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა კლასიკოს მოჭიდავეთა შეჯიბრებიდან.

# მეშახტის ერთგული მოკავშირე

ყარაგანდის ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა მედიცინის მუშაკებთან ერთად ჩაატარეს კვლევა, რომელმაც გვიჩვენა, რომ სპორტის მიმდევარი მეშახტეების შრომისნაყოფიერება ერთნახევარჯერ აღემატება დანარჩენებისას. სპორტსმენთა შორის სამჯერ ნაკლებია ავადმყოფობის შემთხვევები.

ამ დასკვნას ადასტურებს ყარაგანდის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის შახტის კოლექტივის გამოცდილებაც. აქ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობენ არა მარტო შტატით მომუშავე ფიზკულტურის სპეციალისტები, არამედ დირექციაც, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებიც. ფიზკულტურის საბჭოს ხელმძღვანელობს მომპოვებელი უბნის უფროსი, სპორტის ოსტატი ვ. ლიტვინოვი — შახტის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე, მშდ კომპლექსის კომისიის თავმჯდომარე.

საექიმო კომისიამ ნორმატივების ჩაბარების უფლება 1500 მეშახტეს მისცა. მათგან ნახევარზე მეტმა უკვე მოიპოვა სამკერდე ნიშნები. სხვებმა ნორმატივები ჩააბარეს საფეხურო სახეობებში.

შახტში ჩამოყალიბებულია მძლეოსანთა, ფეხბურთელთა, ფრენბურთელთა, მოკრივეთა, მსროლელთა და სხვა გუნდები. ისინი წარმატებით გამოდიან საქალაქო და საოლქო შეჯიბრებებში. კვალიფიციურ სპორტსმენთა შორის არიან მიწისქვეშა მომპოვებელი უბნების ხელმძღვანელები ა. ცორინი და ა. ეზჟალკინი, ძმები — სამთო ოსტატი ალექსანდრე და მუშა ვიქტორ ვეიტები, გამმაგრებლები — ვ. ხიომინი, ვ. და ა. გორნები, ვ. შირინსკი, ზეინკალი ვ. კისტერი და ბევრი სხვა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტული ბაზის განმტკიცებას. ამ მიზნით თანხებია გამოყოფილი. მეშახტეებმა თვითონ მოაწყვეს სტადიონი ფეხბურთის მინდვრით, ტანვარჯიშული ქალაქით, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით, მძლეოსნური სექტორებით. მთავრდება დიდი დახურული ტირის მშენებლობა, რომელიც ამავე დროს მძლეოსნური მანეჟი და ტანვარჯიშის დარბაზიც იქნება. ტექნიკური განყოფილების თანამშრომლებმა შახტის მთავარი ინჟინრის, ნიჭიერი სპორტსმენის გ. ბრეუსოვის ხელმძღვანელობით დაამუშავეს უნივერსალური ტირის პროექტი. უახლოეს ხანში დაგეგმილია საცურაო აუზის აგება.

სპორტი მეშახტეთა ერთგულ მოკავშირედ იქცა. იკლო ავადმყოფობის შემთხვევებმა, ამაღლდა შრომისნაყოფიერება. მიწისქვეშა ჯგუფის ყოველ წევრზე თვეში 120 ტონა ქვანახშირი მოდის. ასეთი მაჩვენებლები აუზში მხოლოდ შემდეგი ხუთწლედისთვისაა დაგეგმილი. შახტის კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა ყარაგანდის აუზში.

ყარაგანდა.

# საუბარი კიევის დინამოელებთან

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან მატჩის შემდეგ ჩვენი გაზეთის წარმომადგენელი დ. ლოლაძე ესაუბრა კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებს ვ. კოლოტოვს, ვ. ტროშკინს, ვ. მატვიენკოსა და ვ. ვერემეევს, რამდენიმე შეკითხვით მიმართა მათ.

● **გთხოვთ რამდენიმე სიტყვა გვითხრათ თბილისის „დინამოზე“.**

ვ. კოლოტოვი: დღევანდელ მატჩში ვიგრძენით, რომ თბილისელთა გუნდის ყოველი წევრი თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისთვის, მაგრამ სურვილი განუხორციელებელი დარჩა. გუნდს ძლიერი ცალკეული ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ მთლიანობაში ისინი სუსტად გამოიყურებიან. ვფიქრობ, გარკვეულ როლს ყიფიანის არყოფნაც თამაშობს.

ვ. ვერემეევი: ყოველ მოთამაშეს მოუწევს დრო, როცა მან დიდ ფეხბურთს უნდა დაანებოს თავი, ეს კი ყველა ჩვენგანისთვის ძალიან ძნელია. მაგრამ რახან ეს გარდუვალი ამბავია, ჯობია თვითონვე დატოვო სარბიელი, სანამ სხვა გეტყოდეს დიდი ბოდიშის მოხდით: ვეღარ თამაშობ ისე როგორც უწინ, არ მოგაქვს გუნდისთვის სარგებლობაო. რატომ ვამბობ ამ სიტყვებს? ახლა თბილისელთა გუნდში თაობათა ცვლა ხდება. მწვრთნელის ფუნქციებში ჩვენ არ ვერევით, მაგრამ იმ წინასასეზონო სამზადისმა, რომელიც ჩვენ და თბილისელებმა ლესელიძეში გავიარეთ, დაგვანახა, რომ მათ მოსამზადებელი პერიოდი ერთობ არადამაკმაყოფილებლად ჩაატარეს. სუსტად ემზადებოდნენ ცალკეული მოთამაშეები, ეს კი, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია სეზონის დაწყების წინ. ნუ გაუკვირდებათ მკითხველებს, ნურც დინამოელებს ეწყინებათ, მაგრამ ეს ასეა. ისინი ჩვენი მეგობრები და სპორტული მოწინააღმდეგენი არიან, ალბათ, გაგვიგებენ.

ვ. ტროშკინი: საერთოდ, სამხრეთის გუნდები ყოველთვის კარგად იწყებენ სეზონს და სტარტზე დაგროვილი ქულები თავისას აკეთებენ. ახლა კი ჩვენთვის მოულოდნელი ამბავი იყო, როცა თბილისელებმა შინ ძალიან ბევრი ქულა დაკარგეს. 8 ტურის შემდეგ ისინი, ვგონებ, ბოლო ადგილზე იმყოფებოდნენ. ასეთი ცუდი სტარტი არ ახსოვთ „დინამოს“ გულშემატკივრებს. თბილისელები თამაშობენ ძალიან ერთფეროვნად, არ იგრძნობა ის ტემპერამენტი, რომელიც ყოველთვის დამახასიათებელი იყო მათთვის.

ვ. მატვიენკო: მჯერა, რომ თბილისელები ახალი, გამოცდილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გამოასწორებენ უჩვეულოდ მძიმე მდგომარეობას. ხურცილავა, მ. მაჩაიძე, ძოძუაშვილი, ასათიანი და სხვები ვალდებული არიან თავდაუზოგავი თამაშით მაგალითი მისცენ თანაგუნდელებს და გამოიყვანონ კოლექტივი კრიტიკული მდგომარეობიდან. მჯერა, რომ გუნდი მიაგნებს თავის საუკეთესო თამაშს. აქვე მინდა გითხრათ, რომ მ. მაჩაიძის მხრივ ბურთის ზედმეტად ტარება არავითარი სარგებლობა არ მოაქვს დინამოელებისთვის.

● **ყველა გუნდს ჰყავს თავისი „უხერხული“ მოწინააღმდეგე. თბილისელებისთვის, მაგალითად, ასეთები არიან მათი მოსკოველი თანაკლუბელები. ვის წინააღმდეგ უჭირთ თამაში კიეველებს?**

ვ. კოლოტოვი: ასეთი უხერხული მოწინააღმდეგე ჩვენთვის იყო ლენინგრადის „ზენიტი“, მაგრამ ეს იყო პირველი წრის შეხვედრამდე, რომელიც კიევში გაიმართა. აქ ჩვენ იმდენად დამაჯერებლად გავიმარჯვეთ, რომ ვფიქრობთ, „ზენიტის“ წინააღმდეგ აღარ გაგვიჭირდება თამაში.

ვ. ტროშკინი, ვ. მატვიენკო: კიევის „დინამოსთვის“ ყველა უკრაინული გუნდი უხერხული მოწინააღმდეგეა. გვირჩევნია ვეთამაშოთ რომელიც გნებავთ გუნდს, ოღონდ ეს არ იყოს „შახტიორი“, „კარპატი“, „დნეპრი“, „ზარია“ და „ჩერნომორეცი“.

ვ. ვერემეევი: რასაკვირველია, უკრაინის გუნდები. მათთან შეხვედრის შემდეგ რომელიმე ჩვენი ფეხბურთელი აუცილებლად ტრავმირებულია ხოლმე. გაიხსენეთ შარშანდელი მატჩი „კარპატისთან“. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ საშუალება გვეძლეოდა გვებრძოლა ოქროს მედლებისთვის, მაგრამ ლვოველმა ფეხბურთელებმა ისე ითამაშეს, როგორც არასდროს. ჩვენ დავმარცხდით — 0:1.

● **წლეულს რომელ გუნდს შეუძლია გაგიწიოთ კონკურენცია ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში?**

ვ. კოლოტოვი: თვითდაჯერებაში ნუ ჩამოგვართმევთ, მაგრამ ასეთი გუნდი, რაღაც, არ ჩანს.

● **გაზეთმა „გუდოკმა“ ა. წ. 8 აგვისტოს გამოაქვეყნა ინტერვიუ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელ კ. ბესკოვთან, რომელმაც თქვა: თუ მიაქციეთ ყურადღება, ქულების უმეტეს რაოდენობას კიეველები აგროვებდნენ მაშინაც, როცა ნახევარი ძალითაც კი არ თამაშობდნენ. ანალოგიური აზრი დაებადა ბევრ ჩვენგანს, როცა უყურებდა დღევანდელ თქვენს გამოსვლას. რას იტყვით ამის შესახებ?**

ვ. ვერემეევი: რა მოგახსენოთ. გასვლითი თამაშების დროს უფრო ვაორკეცებთ ძალასა და ყურადღებას, არ დავმალავთ, დაცვით სისტემასაც მივმართავთ. განა სხვა გუნდები გასვლით თამაშებში იმაზე არ ფიქრობენ, რომ არ დაუშვან შეცდომა და ამას არ მოჰყვეს გოლის გატანა? დაცვით თამაშსაც მოხერხება და ცოდნა უნდა.

● **ე. ი. თქვენი გუნდის ამოცანაა სტუმრად ერთი ქულის აღება, შინ კი აუცილებელი გამარჯვების მოპოვება.**

ვ. კოლოტოვი: რასაკვირველია. ჩვენ კიევში არც წარმოგვიდგენია დაცვითი თამაში. გუნდის თითოეული წევრის ყურადღება იქითაა მიპყრობილი, რომ გატანილი იქნას რაც შეიძლება მეტი ბურთი. სხვა თამაშს კიეველი მაყურებლები არ გვაპატიებენ.

● **რახან სიტყვა მაყურებლებზე ჩამოვარდა, რა განსხვავებაა თბილისელ და კიეველ მაყურებლებს შორის?**

ვ. ვერემეევი: კიევში ხალხი ასე ჩუმად რომ იჯდეს, ვიფიქრებდით, სტადიონზე არავინ მოსულაო და თამაშსაც დაეკარგებოდა აზრი. თბილისელი მაყურებლები ცოტა ინერტულნი არიან და ეს მაშინ, როცა გუნდს სწორედ ახლა ესაჭიროება გულშემატკივრობა. დონეცკის, ლვოვის, ოდესის, როსტოვის, კიშინიოვის სტადიონებზე, მაგალითად, არნახული აჟიოტაჟია, ყველა იმაზე ფიქრობს გაამხნევოს თავისი გუნდი. არაფერს ვამბობ თვით კიეველ მაყურებლებზე. ისინი ყოველთვის ჩვენს გვერდით არიან. მკითხველებმა არ გამიგონ ისე, თითქოს თბილისელ მაყურებლებს გული არ შესტკივათ თავიანთ გუნდზე. მათ შეიძლება უფრო მეტადაც შესტკივათ, ვიდრე ეს საჭიროა, მაგრამ ეს სტადიონზე არ იგრძნობა.

● **რა შანსები აქვთ საბჭოთა გუნდებს ოფიციალურ საკლუბო ევროპულ ტურნირებში. გავლენ თუ არა ისინი შემდგომ წრეში, თქვენი მოწინააღმდეგის შესახებ რას გვეტყვით?**

**ინტერვიუ**

ვ. მატვიენკო: ვფიქრობ, ყველა საბჭოთა გუნდი გავა გათამაშების შემდეგ ეტაპზე,ვინაიდან მათ არც თუ ისე ძლიერი მეტოქეები შეხვდნენ. რაც შეეხება ჩვენ მოწინააღმდეგეს — სოფიის „სეპტემვრისკო ზნამეს“, ეს ძლიერი გუნდია და წინასწარ რაიმეს თქმა არ შეგვიძლია. გაიხსენეთ: ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შარშან მიუნჰენის „ბაიერნმა“ მხოლოდ ბურთების შეფარდებით შეძლო ბულგარელთა დამარცხება.

● **რამდენიმე სიტყვა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე.**

ვ. ვერემეევი: ჰოლანდიის ნაკრების თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გერმანელებმა ფინალში უფრო პრაქტიკულად ითამაშეს და ეს ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი. ქების ღირსია პოლონეთის ნაკრები თავისი ბრწყინვალე მოთამაშეებით დეინათი და ლატოთი.

ვ. მატვიენკო: ჰოლანდიის გუნდს ჰყავს კრუიფი და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. მომეწონა ბრაზილიელი მარინიო, ბეკენბაუერი კი ნამდვილი სარდალია. საწყენია, რომ თამაშებში არ მონაწილეობდა პოლონელი ლიუბანსკი.

ვ. კოლოტოვი: ჰოლანდიის გუნდის ყოველი მოთამაშე დიდი ფეხბურთელია. როგორ შეიძლება არ მოიხიბლო კრუიფის გასაოცარი პასებით, მისი თამაშის ალღოთი. ჰოლანდიელებს არ გაუმართლათ ფინალში, მაგრამ არ გაძიგოთ, თითქოს, გერმანელები არ იყვნენ ჩემპიონობის ღირსნი.

ვ. ტროშკინი: მსოფლიო ჩემპიონობის ღირსი ორი გუნდი იყო: ჰოლანდია და გფრ. გერმანელებს ჰყავთ ბეკენბაუერი, მიულერი, ოვერატი — ნამდვილი ვარსკვლავები. რაც შეეხება ჰოლანდიელებს, ასეთი კოლექტიური გუნდი დიდი ხანია არ მინახავს. იქ ერთი ყველასთვისაა და ყველა ერთისთვის. რაც შეეხება კრუიფს, იგი ნამდვილი სოლისტია, მაგრამ ამავე დროს ჭეშმარიტად კოლექტიური მოთამაშეცაა.

● **შეიძლება ვთქვათ თუ არა კრუიფზე, რომ იგი მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელია?**

ვ. ვერემეევი. რასაკვირველია!

● **ჰყავს თუ არა ვარსკვლავები ჩვენს ფეხბურთს?**

ვ. ვერემეევი: დღეს საბჭოთა ფეხბურთში ძნელია ექსტრა-კლასის ფეხბურთელის პოვნა. ვარსკვლავების დრო წავიდა. ასეთები იყვნენ ვორონინი, ივანოვი, მესხი, პონედელნიკი, იაშინი, მეტრეველი, სტრელცოვი.

ვ. მატვიენკო: ძალიან ძლიერი მცველი იყო გ. ჩოხელი.

ვ. ტროშკინი: ვსარგებლობ შემთხვევით და ორიოდე სიტყვას ვიტყვი თბილისის „დინამოს“ ყოფილ კაპიტანზე შოთა იამანიძეზე. იგი გუნდის სული და გული, ნამდვილი ორგანიზატორი იყო. ჩვენ ბევრჯერ დავმტკბარვართ მისი შესანიშნავი თამაშით. სიამოვნებით ვიხსენებთ შესანიშნავ ნახევარმცველს გიორგი სიჭინავას, კიეველთა გუნდის ყოფილ კაპიტანს ანდრეი ბიბას, თქვენს თანამემამულეს ვლადიმერ ბარქაიას.

● **რომელი საბჭოთა ფეხბურთელი და რომელი [illegible] არის თქვენთვის იდეალური?**

ვ. კოლოტოვი: [illegible] სამოციანი წლების მოსკოვის „ტორპედო“.

ვ. ტროშკინი: ი. საბო, 1966-67 წლების კიევის „დინამო“.

ვ. მატვიენკო: ვ. პონომარიოვი, 1966-67 წლების კიევის „დინამო“.

ვ. ვერემეევი: ვ. ვორონინი, სამოციანი წლების მოსკოვის „ტორპედო“.

● **ვინ მიგაჩნიათ გამოჩენილ მწვრთნელად მსოფლიოში და საბჭოთა კავშირში?**

ვ. კოლოტოვი, ვ. ვერემეევი, ვ. მატვიენკო: მსოფლიოში — მიხელსი და შიონი, საბჭოთა კავშირში — ლობანოვსკი და ბაზილევიჩი.

ვ. ტროშკინი: არ შეიძლება, რომ მათთან ერთად არ ვახსენოთ გამოჩენილი საბჭოთა მწვრთნელი ვიქტორ მასლოვი. იგი ერთადერთი მწვრთნელია უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან, რომელიც თანამედროვე ფეხბურთიდან ყოველთვის იღებს ახალს, მიჰყვება დღევანდელ ცხოვრებას. მან ბევრი გააკეთა ჩვენი ფეხბურთისთვის.

● **ვინ მიგაჩნიათ საბჭოთა კავშირში საუკეთესო მეკარედ, მცველად, ნახევარმცველად და თავდამსხმელად?**

ვ. კოლოტოვი: რუდაკოვი ან პროხოროვი, მატვიენკო, ანდრეასიანი, ონიშჩენკო ან ბლოხინი.

ვ. მატვიენკო: რუდაკოვი, ტროშკინი, ანდრეასიანი, ბლოხინი.

ვ. ტროშკინი: პროხოროვი, მატვიენკო, ანდრეასიანი, ონიშჩენკო.

ვ. ვერემეევი: რუდაკოვი, მატვიენკო, კოლოტოვი, ონიშჩენკო.

# ოთხთა ტურნირმა სტარტი აიღო

მოსკოვი, 16 აგვისტო. დღეს აქ, „სოკოლნიკის“ სპორტის სასახლეში სტარტი აიღო ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც აშშ-ს, იაპონიის, კუბისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები გამოდიან. პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და აშშ-ს კოლექტივები. ოკეანისგაღმელი ფრენბურთელები პირველად ეწვივნენ სსრ კავშირს და, რასაკვირველია, მატჩისადმი ინტერესი დიდი იყო. შეხვედრას დაესწრო 8.000 მაყურებელი.

საბჭოთა სპორტსმენებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და ადვილად მოიგეს პირველი პარტია — 15:7. მომდევნო ორი პარტია შედარებით საინტერესო იყო. ჩანდა უფრო მაღალი კლასი საბჭოთა სპორტსმენებისა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც ამ პარტიებში და მატჩიც მოიგეს — 3:0.

აშშ-ს დელეგაციის ხელმძღვანელი და გუნდის მწვრთნელი ბ. ზავადცკი კმაყოფილი დარჩა თავისი ფრენბურთელების თამაშით და აღნიშნა, რომ საბჭოთა გუნდში უფრო მაღალ დონეზე იდგა სათამაშო დისციპლინა, ფრენბურთელები კარგად ერკვეოდნენ მოედანზე შექმნილ რთულ სიტუაციებში, ჩინებულად ფლობდნენ ტექნიკურ ელემენტებს.

მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, იაპონელმა ფრენბურთელებმა მოუგეს კუბის ნაკრებს — 3:1.

# სად წაიყვან სადაურსა...

თემური და გია ერთ სახლში და ერთსა და იმავე წელს დაიბადნენ. ისინი კარის მეზობლებიც იყვნენ და, ფეხი რომ აიდგეს, დამეგობრდნენ. ერთ საბავშვო ბაღში დადიოდნენ, ერთად გადააბიჯეს სკოლის ზღურბლს ფეხი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ მერხზეც კი ისხდნენ.

გადიოდა წლები. ორივე ჭაბუკი ბეჯითობდა, ორივე თითით საჩვენებელი მოსწავლე იყო. გიას სწავლასთან ერთად სპორტი იტაცებდა, უფრო ზუსტად, კალათბურთი შეუყვარდა და მეცხრეკლასელი უკვე ქალაქის ნაკრების ღირსებას იცავდა. თემური, პირიქით, სექციაში ვარჯიშს ბიბლიოთეკაში ჯდომას არჩევდა, მათემატიკაში იწაფებოდა და ერთხელ საქალაქო ოლიმპიადაში ქების სიგელიც დაიმსახურა. გია სულ სპორტზე ლაპარაკობდა, თემური მათემატიკურ ეტიუდებს ჩაჰკირკიტებდა, განუყრელი მეგობრები კი იყვნენ, მაგრამ ერთმანეთში „საქმიანი“ საუბარი არ გამოსდიოდათ.

დადგა მშობლიურ სკოლასთან განშორების ჟამი. ორივემ სიმწიფის ატესტატი მიიღო და, როცა შინ ბრუნდებოდნენ, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

თემური: შენი არ ვიცი, მე კი ციფრები მიტაცებს და ამ გზას უნდა გავყვე.

გია: ფიზკულტურის ინსტიტუტში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას, თუ კარგი სპორტსმენი ვერ გავხდი, სხვაც ბევრია ამ დარგში საინტერესო.

ბიჭებმა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელს მიაშურეს. გიამ ფიზკულტურის ინსტიტუტში შეიტანა განცხადება, თემურმა ეკონომიკის მეცნიერების დაუფლება გადაწყვიტა. კონკურსი ორივე სასწავლებელში დიდი იყო.

მისაღები გამოცდები სხვა სასწავლებლებთან შედარებით ფიზკულტურის ინსტიტუტში უფრო გვიან იწყებოდა. ამიტომ სხვაგან „დაჩაგრულმა“ აბიტურიენტებმა პირველივე მარცხის შემდეგ ამ ინსტიტუტს მიაშურეს. ისეთი ამბავი დატრიალდა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. ახალგაზრდებს ძალიან გაუძნელდათ ფიზკულტურის ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარება, ერთ ადგილზე ოცი კაცი იბრძოდა და ბიჭი იყავი, უხიფათოდ გაგევლო ეს ეკლიანი გზა. პირველად აბიტურიენტებს სპეციალობაში უნდა ეცადათ ბედი. ინსტიტუტის სტადიონზე დილიდანვე დიდი ხალხმრავლობა იყო. ის-ის იყო გიამ სპორტული ფორმით გატენილი ჩანთით სტადიონის კარი შეაღო, რომ მოულოდნელად თემურს შეეჩეხა. იგი მამასთან ერთად მოსულიყო აქ. გიამ იცოდა მეგობრის მარცხის ამბავი. პირველსავე საგანში მისი გვარის იმდენი აბიტურიენტი შეკრებილა, გამომცდელები დაბნეულან და თემურიც ამ ამბის მსხვერპლი გამხდარა.

— ახლა აქ უნდა ვცადო ბედი, — მიახალა თემურმა მეგობარს.

— ფიზკულტურაში? — გაკვირვებულმა ჰკითხა გიამ.

— ჰო, აბა წელიწადს ხომ არ დავკარგავ?!

გიამ სპეციალობაში ორიანი მიიღო, არ ელოდა, მაგრამ მაინც მიიღო. მხოლოდ მას უკვირდა, გამომცდელები ამ ამბავში უჩვეულოს ვერაფერს ხედავდნენ. მერე რა, ქალაქისა და რესპუბლიკური ნაკრები გუნდების წევრი რომ არის, ვერ გვიპასუხა, როგორც საჭირო იყოო. ასეთი იყო საგამოცდო კომისიის დასკვნა. გიას მამამ შვილის საბუთები იმ სასწავლებელში აფრინა, სადაც თემურს მოეცარა ხელი და რაღაც მანქანებით საქმე გაჩარხა. თემურის მამასაც თავი ქუდში ჰქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა შვილს მაღალი თანრიგის სპორტსმენის საბუთი „უშოვნა“ და მის ვაჟს წინ ვერაფერი აღუდგა.

სიყრმის მეგობრები მეგობრებად დარჩნენ. გიას ძალიან უჭირდა მათემატიკური საგნების სწავლა, თემურს, პირიქით, სპორტულ თამაშობათა დაუფლება. ის კი იყო, რომ ხშირად ერთმანეთს ეხმარებოდნენ. გია თემურს ამეცადინებდა ეზოში, მარტივი ტიპის კალათბურთის მოედანზე, რომელსაც სიმბოლურად ერქვა ეს სახელი, თორემ ოღრო-ჩოღრო და ღორღით სავსე ადგილი, ისიც უბადო და წელში საცოდავად გაზნექილი ფარით, ატომური ხანის კალათბურთის გაზრდილ მოთხოვნებს სრულებითაც არ აკმაყოფილებდა. მაგრამ გია მოწადინებული იყო, რომ თემური სპორტის ამ სახეობაში ცოტა მაინც გაწვრთნილიყო, აღმზრდელებთან არ შეერცხვინა თავი. არც თემური რჩებოდა ვალში. იგი მათემატიკურ საგნებში ეხმარებოდა მეგობარს, უჩიჩინებდა, უკიჟინებდა, მაგრამ, როგორც თემურს სპორტში, ისე გიას მათემატიკაში არაფერი გამოსდიოდა.

ბიჭებმა მაინც მიიღეს უმაღლესი განათლება. თითქოს ღმერთი სწყალობთო, ორივე ერთ რაიონში, ერთ დიდ საწარმოში გაამწესეს სამუშაოდ. გიას ეკონომისტის ადგილი მიუჩინეს, თემური ფიზკულტურელთა თავკაცი გახდა. აქაც ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ჭირსა და ლხინს ერთად იყოფდნენ. ერთი კი იყო, საწარმოს ხელმძღვანელები, ცოტა არ იყოს, ალმაცერად უყურებდნენ ახალგაზრდა სპეციალისტებს. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: გიამ ალღო ვერ აუღო მრავალნიშნა ციფრების ათასგვარ კომბინაციებს, თემურიც ძალიან მოიკოჭლებდა თავის საქმეში. განსაკუთრებით თავს აბეზრებდნენ საწარმოს სპორტსმენები, რომლებმაც მასზე კარგად იცოდნენ სპორტის სახეობები, მასზე უკეთ თამაშობდნენ კალათბურთსა თუ ფეხბურთს.

ორივე მეგობრის მშობლებმა ძალიან მოიწყინეს. მართალია, კვირაობით აკითხავდნენ შვილებს, მაგრამ, ერთი დღის სიხარულს აბა რა ფასი ჰქონდა.

ბოლოს, გასჭრა დედების მუდარამ, შვილების ძუნწმა ბარათებმა: გვიშველეთ, აღარ შეგვიძლიაო.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მამებმა საქმე მოაკვარახჭინეს და ბიჭების თბილისში დაბრუნებას არაფერი უდგა წინ, რომ უცებ, თითქოს ქირი შეკრესო, გიას და თემურს გამოუცხადეს: ხვალ დედაქალაქიდან რევიზია მოდის, საწარმოო მაჩვენებლებსაც შეამოწმებენ და ფიზკულტურასაცო. საგონებელში ჩავარდნენ მეგობრები. საღამოს მმართველს დაურეკეს, აუხსნეს, რომ აჯობებდა თემურს საწარმოო ანგარიშის საკითხებზე გაეცა პასუხი, ფიზკულტურის საქმისთვის კი გიას მოევლო. დირექტორი კაცი იყო, კაცური გული ჰქონდა და დათანხმდა. იმ ღამით არც ერთს თვალი არ მოუხუჭავს. გია თემურის ფიზკულტურული მუშაობის ამსახველ ქაღალდებს ჩაკირკიტებდა, უვარგისს ხევდა, ახალს წერდა, თემურს მრავალნიშნა ციფრებით სავსე ქაღალდებში ჩაერგო თავი, გიას შეცდომებს შლიდა, ასწორებდა, ბუზღუნებდა.

კომისიის წევრები რატომღაც ძალიან ჩქარობდნენ. მიათვალიერ-მოათვალიერეს საწარმო, უბრალოდ გადახედეს საბუთებს და შემოწმებით გადაღლილებმა, დასიცხულებმა, იქვე მახლობლად ტყეს შეაფარეს თავი, სადაც საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კულტურული მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხით გაშლილი ძვირფასი სუფრა ელოდათ.

რამდენიმე დღის შემდეგ გიამ და თემურმა მშობლიური სახლების კარები შეაღეს, მამები გაახარეს, დედებს ცრემლი ადინეს. როგორც ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩახედული კაცი, მამამ და „კეთილმა“ ძიებმა გია დიდი მაღაზიის გამგედ დასვეს. თემურმაც ზურგი შეაქცია ფიზკულტურას და ვიღაცის დახმარებით ლიმონათის ქარხანაში „თბილ ადგილზე“ მოეწყო. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ორივე „სპეციალისტი“ სხვადასხვა მაქინაციისთვის სადაც ჯერ არს, მიაბრძანეს.

ეს ამბავი ერთმა მეგობარმა მიამბო ამას წინათ, როცა ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

— მარტო ამ ორ ახალგაზრდას როდი აუბნია გზა-კვალი გასულ წლებში ჩვენში გამეფებულმა უსულგულობამ. ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი დააყენა მან მცდარ გზაზე. გადაჭარბებული ნათესავთმოყვარეობა, ძმაბიჭობა, ნათლიმამობა რომ არა, ეს ბიჭები ბავშვობაში არჩეულ სწორ გზას არ გადაუხვევდნენ, მათთვის შეუფერებელ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდნენ, საქვეყნოდ თავს არ შეირცხვენდნენ. თემური შეიძლება გამოჩენილი მათემატიკოსი გამოსულიყო, გია სახელოვანი კალათბურთელი თუ არა, ფიზკულტურის კარგი სპეციალისტი მაინც იქნებოდა.

ჩემი მეგობარი ცამდე მართალი იყო!

ზ. ჯანდიერი.

# „გაუფრთხილდი კოლექტივის ღირსებას!“

დამფუძნებელი ასპარეზობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე, რომლის ფინალიც ოქტომბერში მოსკოვში მოეწყობა, ღირსშესანიშნავი იმითაცაა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის შემადგენელი ნაწილია და კომკავშირისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს ეძღვნება.

ფინალური ასპარეზობის დევიზი ასეთია: მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნიდან — ოლიმპიურ მედლამდე. ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში დამთავრდა ამ დიდი სპორტული ასპარეზობის ზონალური ეტაპები. ფოთში გამართულ შეჯიბრებაში, რომლის შესახებაც დღეს გიამბობთ, მონაწილეობდნენ ფოთის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, ზუგდიდისა და ცხაკაიას წარმომადგენლები. ამთავითვე შევნიშნავთ: ზონალურ შეჯიბრებას მშდ კომპლექსის დანერგვის ბევრ პრობლემურ საკითხზე უნდა გაეცა პასუხი. ვფიქრობთ, შეცდომა არ იქნება, თუ სათქმელს მოკლედ გადმოგცემთ: მშდ კომპლექსი ბევრგან ჯერ კიდევ არ ქცეულა ფიზკულტურული მოძრაობის მაორგანიზებელ ძალად და სპორტის მასაზრდოებელ წყაროდ. დიდი ძვრები არ მომხდარა სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებაში. არსებული ბაზები კეთილმოუწყობელია და სრული დატვირთვით არ მუშაობენ. ისევ გვხვდება თვალის ახვევის ფაქტები. მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნის მინიჭებაში ბევრგან არ ჩატარებულა, ან ულიმღამოდ ჩატარდა I და II ეტაპების შეჯიბრებები. ზემოთქმული ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, მხოლოდ რამდენიმე ფაქტი მოვიყვანოთ. ჯერ ერთი, როგორ მოხდა, რომ ზონალურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ისეთი „ნიშნოსნები“, რომლებიც ვერც ერთ სახეობაში ვერ ადასტურებენ ნორმატივს? მართალია, სპორტში მარცხი არ არის გამორიცხული, მაგრამ განა შეიძლება კაცს ერთი ან ორი თვის წინათ (მხედველობაში გვაქვს I-II ეტაპები) ცურვა სცოდნოდა და ზონალური ასპარეზობის წინ... დავიწყებოდა? მაშასადამე, ან წინა ეტაპის შეჯიბრებები არ ჩატარებულა, ან საგზურების გაცემაშია დაშვებული სიყალბე. საილუსტრაციოდ ორიოდე მაგალითიც კმარა: ცურვაში სტარტზე არ გამოვიდა... 40 ნიშნოსანი, 20 მონაწილემ კი სრული მოუმზადებლობა გამოავლინა. გამოდის, რომ 120 ნიშნოსნიდან, რომლებიც ფოთში ასპარეზობდნენ, სამოცისთვის ცურვაში ნორმატივის ჩაუბარებლად ჩაუთვლიათ მოთხოვნები შესრულებულად. უფრო დაბალი შედეგები იყო სროლაში. აქ ნორმატივი შეასრულა მხოლოდ... 11-მა მოსწავლემ. III საფეხურის პროგრამით შეჯიბრებაში 16-18 წლის ჭაბუკებსა და ქალიშვილებში მხოლოდ ერთი მონაწილე — აბაშელი ა. ლეჟავა შესწვდა ნორმატივს. ხომ არ გამოდის, რომ ამ ქალაქებსა და რაიონებში თითზე ჩამოსათვლელი გვყავს მშდ კომპლექსის ნიშნოსნები? თუ ასე არაა, რამ გააძნელა სტატისტიკურ დავთრებში აღრიცხული ასობით და ათასობით ნიშნოსნიდან წარმომადგენლების შერჩევა, ან სრულად რატომ ვერ დააკომპლექტეს კოლექტივებმა გუნდები? უნდა შევნიშნოთ, ისიც, რომ განსაკუთრებით იგრძნობოდა IV და V საფეხურების ნიშნოსანთა სიმცირე. ქალები ამ საფეხურების შეჯიბრებაში მხოლოდ ორმა (?!) კოლექტივმა გამოიყვანა. რა თქმა უნდა, ზონალური ასპარეზობისთვის ხელსაყრელი პერიოდი არ იყო შერჩეული, მაგრამ ეს თავის გასამართლებლად არ გამოდგება. რაღა შორს წავიდეთ, სად იყვნენ თვით ფიზკულტურული მუშაკები, თუნდაც კომიტეტების თავმჯდომარეები? ისინიც ხომ ნიშნოსნები არიან, უფრო მეტიც, თავის დროზე პირველებს უნდა ჩაებარებინათ კომპლექსი. სამწუხაროდ, ფოთში გამართულ შეჯიბრებაში მხოლოდ ერთადერთი კომიტეტის თავმჯდომარე — წალენჯიხელი გ. მებონია მონაწილეობდა. დანარჩენები საერთოდ გუნდსაც არ ჩამოჰყვნენ.

რაიონული და საქალაქო შეჯიბრებების დევიზი ასეთი იყო: „გაუფრთხილდი კოლექტივის ღირსებას“. ამ ეტაპზე შერჩეულმა მშდ კომპლექსის ნიშნოსნებმა, როგორც ნახეთ, ზონალურ ასპარეზობაში მაინცდამაინც ვერ ასახელეს თავიანთი კოლექტივები. ამ მხრივ ფოთი გამონაკლისი არ ყოფილა. რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ, ამთავითვე უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა მსგავსი ფაქტი მომავალშიც აღარ განმეორდეს. ზემოთ ჩვენ სპორტული ბაზების საკითხისადმი უყურადღებობაც ვახსენეთ. ფოთის ღია ტირი ამ უყურადღებობის საუცხოო მაგალითია. საცოდაობით დაიწყება კაცი, ამ გაპარტახებულ ბაზას რომ იხილავს. არადა, ეს ტირი ერთადერთია ქალაქში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ არსებული ბაზები მოუვლელია, ისინი ვერ გახდნენ მასობრივი სპორტული მუშაობის, მშრომელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციის ნამდვილი ცენტრები... საინტერესოა, ფოთის დოსააფის საქალაქო კომიტეტი, რომლის გამგებლობაშიც ეს ტირი შედის, ამ დადგენილების შემდეგ მაინც რატომ არ დააფიქრა ბაზის ბედ-იღბალმა?

ზღვისპირა ქალაქში გამართულ ზონალურ შეჯიბრებებს ერთადერთი ღირსეული მონაწილე ჰყავდა — მასპინძელთა კოლექტივი. ფოთელები ყველა სახეობაში ლიდერობდნენ (პროგრამაში იყო რბენა, ტყორცნა, ცურვა და სროლა). რესპუბლიკური ასპარეზობის საგზურიც მათ ხვდათ წილად. გამარჯვებულმა კოლექტივმა 3544 ქულა მოაგროვა. 1820 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ ჩხოროწყუელთა გუნდს. III ადგილზეა ცხაკაიას კოლექტივი — 1693 ქულა.

უნდა აღინიშნოს გეგეჭკორელთა უპასუხისმგებლობა. ეს რაიონი სიყალბეში ჯერ კიდევ კომპლექსის შემოღების პირველსავე წელს ამხილეს. ამ საკითხზე შარშან კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროშიც იმსჯელა. მაგრამ, როგორც ჩანს, გეგეჭკორში კომპლექსს ჯერ კიდევ არ ექცევა ყურადღება.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული. ფოთის ფიზკულტურის კომიტეტმა და პირადად კომიტეტის თავმჯდომარე ო. ხოშერიკმა ძალ-ღონე არ დაზოგეს, რომ ასპარეზობას საზეიმო ელფერი ჰქონოდა.

შეჯიბრების მონაწილეებს ტურისტულმა ბაზამ (დირექტორი ბ. გოგიჩაიშვილი) საშეფო საწყისებზე გამოუყო ავტობუსები.

**თ. გაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

* * *

სურათზე: ზონალური შეჯიბრების ჩემპიონი — აბაშელი ა. ლეჟავა სროლის დროს.

ავტორის ფოტო.



# ჭადრაკი და კომპიუტერები

**მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მ. ბოტვინიკი გვესაუბრება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების საჭადრაკო პროგრამათა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ.**

მაშ ასე, გამოვლინდა პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში კომპიუტერებს შორის. სტოკჰოლმის ტურნირში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა „კაისამ“, რომელმაც ოთხივე პარტია მოიგო. მართალია, პირველ პარტიაში — „ფრანცთან“ (ავსტრია) „კაისას“ დიდხანს უარესი პოზიცია ჰქონდა, მეოთხე ტურში კი, 35-ე სვლაზე, ამერიკის „ოსტრიჩს“ შეეძლო ეტლის შეწირვით მისთვის შამათი გამოეცხადებინა. და მაინც, საბჭოთა პროგრამა უძლიერესი აღმოჩნდა, თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ სუსტ მეტოქეთა შორის.

აღვნიშნავ, რომ მეცნიერთა უმეტესობა ალმაცერად უყურებს მანქანების ჭადრაკს. ალბათ ფიქრობენ, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მათ მომავალში კონკურენცია გაუწიოს. დიდოსტატთა უმეტესობაც ასევე ერთგვარი შიშით ხვდებოდა ცნობებს მანქანების მუშაობის შესახებ. ოსტატები ფიქრობენ, რომ ისინი მეცნიერებზე ადრე „დაზარალდებიან“, თუ კომპიუტერებმა ცოცხალ მოჭადრაკეებზე ძლიერად დაიწყეს თამაში.

რა თქმა უნდა, ამგვარი შეხედულება უნდა შეიცვალოს. თუ შეიქმნება ხელოვნური ინტელექტი, ბუნებრივზე უფრო შრომისუნარიანი, ამით ადამიანები, მათ შორის მეცნიერებიცა და მოჭადრაკეებიც, მხოლოდ მოიგებენ. ინტელექტუალური რობოტი ადამიანს დაეხმარება ბევრი რთული პრაქტიკული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში. ეს პირველ ყოვლისა ეკონომიკის სფეროს ეხება.

მაგრამ მანქანა ჭადრაკს ჯერჯერობით ცუდად თამაშობს. და მხოლოდ სინანული უნდა გამოვთქვათ იმის გამო, რომ ზოგიერთი მოჭადრაკე, რომელიც წინათ კრიტიკულად უყურებდა საჭადრაკო პროგრამების შედგენას, ახლა ქებას ასხამს კომპიუტერების კომბინაციებსაც, პოზიციურ ბრძოლასაც, თამაშის ტექნიკასაც. არ არის საჭირო გადაჭარბება. ნამდვილი წარმატება მოპოვებული იქნება მაშინ, როცა კომპიუტერი აჯობებს დიდოსტატს და შესაძლებელი გახდება საჭადრაკო პროგრამების შედგენის მეთოდების გადატანა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების სხვა, უფრო პრაქტიკულად მნიშვნელოვან პროგრამებზე.

გვინდა მივულოცოთ მეცნიერული მიღწევები საბჭოთა პროგრამის ავტორებს (იგი შეიქმნა მართვის პრობლემების ინსტიტუტში), პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს და გამოვთქვამთ იმედს, რომ ოდესმე კომპიუტერი დაამარცხებს ადამიანს ჭადრაკის დაფასთან. ფორმალურად ეს იქნება კომპიუტერის ზეიმი, სინამდვილეში კი — ადამიანის უდიდესი მეცნიერული გამარჯვება. (საქტასი).

# „მეგობრობის პრიზზე“

მოსკოვი, 15 აგვისტო. ბულგარეთის, კუბის, რუმინეთის, პოლონეთის, სსრ კავშირის (2 გუნდი) უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები კოლექტივები მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირში „მეგობრობა“. პირველ დღეს სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ადვილად სძლია ქვეყნის მეორე გუნდს — 7:1 (0:0, 1:0, 0:1, 6:0). პოლონეთისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრაში თამაშის უკანასკნელ წუთამდე წინ იყვნენ პოლონელი ჭაბუკები, მაგრამ მათმა მეტოქეებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და მატჩი ფრედ დამთავრდა — 6:6 (2:1, 2:1, 1:2, 1:2). ჩეხოსლოვაკიის კოლექტივმა სძლია რუმინეთის წარმომადგენლებს (5:3), ხოლო კუბისა და უნგრეთის გუნდების მატჩი ფრედ (4:4) დამთავრდა.

ჭაბუკ წყალბურთელთა აღნიშნული ასპარეზობა რიგით მერვეა. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებებში ოთხჯერ იზეიმეს გამარჯვება, ბოლოს ეს იყო 1971 წელს. მომდევნო წლებში „მეგობრობის“ პრიზები მოიპოვეს უნგრეთისა და კუბის სპორტსმენებმა.

# მორიგი ტირაჟის შედეგები

გთავაზობთ „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 22-ე ტირაჟის შედეგებს.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (ასეთი აღმოჩნდა 2 ბილეთი), ხუთისთვის — 2134 (174), ოთხისთვის — 42 (9010), სამისთვის — 3 (160980).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2221 მანეთია (47), ოთხისთვის — 47 (2309), სამისთვის — 3 (44225).

მოგებული თანხა გაიცემა 21 აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით.

# ორნი დაუმარცხებლად

ტალინი, 17 აგვისტო. თავდაპირველი ვარიანტით მფრინავი-კოსმონავტის ი. გაგარინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღო აშშ-ს კალათბურთელთა ნაკრებსაც. ყოველ შემთხვევაში, როცა ამ ტურნირის დებულება დგებოდა, ამერიკელებმა ერთი ადგილი დაიტოვეს თავიანთი ნაკრებისთვის. შეჯიბრების მასპინძლები დიდხანს ელოდნენ შორეული სტუმრების ჩამოსვლას. ელოდნენ მათ კალათბურთის გულშემატკივრებიც, მაგრამ ამაოდ. აშშ-ს ნაკრები ესტონეთის დედაქალაქში არ ჩამოფრინდა გაურკვეველი მიზეზით. ამის გამო ტურნირის მონაწილეთა რიცხვი შემცირდა და სსრ კავშირის I გუნდს სტარტზე იძულებით მოუხდა დასვენება.

რაც შეეხება სტუმართა ორ სხვა კოლექტივს — ლიუბლიანის (იუგოსლავია) „ოლიმპიასა“ და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — გადატვირთული კალენდრის გამო მათ ტალინში ჩამოსვლის საშუალება ტურნირის წინა დღეს მიეცათ. ამ გარემოებამ ერთგვარი დაღი დაასვა იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელების თამაშს სტარტზე.

მატჩის სადებიუტო ნაწილში მართლაც ბევრი იყო ტექნიკური ხასიათის წუნი. მეტოქეები უფრო მეტს ნერვიულობდნენ, ვიდრე თამაშობდნენ და ამის გამო ახალ შეცდომებს უშვებდნენ. მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გამოსწორდა მეორე ტაიმში. ჩეხოსლოვაკიელები ჯერ წამოეწიენ „ოლიმპიას“, მერე კი დაწინაურდნენ კიდეც. ამ გადამწყვეტ მომენტში შესანიშნავად ითამაშეს ნაკრების წევრებმა კანტურეკმა და ჩრენკამ. გამარჯვება უფრო გამოცდილ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს დარჩა — 81:74.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდისა და „ოლიმპიას“ ორთაბრძოლა. მართალია, მატჩის ბედი I ტაიმშივე გადაწყდა (იგი საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს 10 ქულით — 46:36). მაგრამ ბრძოლა მთელი 40 წუთის მანძილზე დაძაბული და ამაღელვებელი იყო. საბჭოთა ახალგაზრდებმა გაიმარჯვეს — 87:71.

მესამე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იყო სსრ კავშირის ნაკრებისა და „ოლიმპიას“ ორთაბრძოლა. საბჭოთა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს — 104:77 (52:39). ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო იუგოსლაველი იელოვაცი — 36 ქულა. სალნიკოვმა თავის კოლექტივს 24 ქულა შესძინა.

ტურნირის მასპინძლებმა — ესტონელებმა დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს — 80:69 (36:34).

სნაიპერთა სიას ჯერჯერობით ლიდერობს იუგოსლაველი იელოვაცი, რომელმაც 3 შეხვედრაში თავის კოლექტივს 84 ქულა მოუტანა.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი I | 2 | 2 | 0 | 204—145 | 2 |
| ესტონეთი | 2 | 2 | 0 | 156—137 | 2 |
| სსრ კავშირი II | 2 | 1 | 1 | 160—147 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 2 | 212—254 | 1 |
| „ოლიმპია“ | 3 | 0 | 3 | 222—271 | 0 |

# მეხუთე ადგილზე

ოდესაში დამთავრდა შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა ახალგაზრდა ხელბურთელებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სამხედრო ოლქების გუნდები. სარბიელზე გამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კოლექტივიც, რომელიც დაკომპლექტებული იყო თბილისელი და ბაქოელი არმიელებით. ამ კოლექტივმა V ადგილი დაიკავა, რაც წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან თბილისის არმიელთა კლუბში, რომლის ბაზაზეც შეიქმნა ეს გუნდი, ხელბურთი სულ რამდენიმე თვეა დაინერგა.

თბილისელმა არმიელებმა უკან ჩამოიტოვეს ისეთი ძლიერი კოლექტივი, როგორიცაა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მონაწილე, კიევის არმიელთა სპორტული კლუბი.

ჩემპიონები გახდნენ მასპინძლები — ოდესელი ხელბურთელები, II ადგილზე გავიდნენ ბელორუსიელი არმიელები, ხოლო III — ლვოველები.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მწვრთნელი — სპორტის საპატიო ოსტატი ჯ. აბაიშვილი) სპეციალისტებზე და მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ტემპიანი და გააზრებული თამაშით გამოირჩეოდნენ გუნდის კაპიტანი გ. შიოშვილი და ო. დვალი.

მაღალკვალიფიციური მსაჯობისთვის სიგელი გადაეცა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, თბილისელ ჯ. ჩხარტიშვილს.

**ხელბურთი**

## ფეხბურთი

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### პოლონეთი

დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატი. პირველობა მოიპოვა ხოჟუვის „რუხმა“, რომელმაც ბოლო ტურში ფრედ ითამაშა ვარშავის „ლეგიასთან“ — 3:3. ჩემპიონს 41 ქულა დაუგროვდა. ზაბჟეს „გურნიკმა“ სტუმრად მოუგო ვარშავის „გვარდიას“ (2:1) და 38 ქულით ვერცხლის მედლები დაისაკუთრა. III ადგილზეა მელეცის „სტალი“ — 37 ქულა.

### მექსიკა

ჩემპიონობა მოიპოვა ხასოს „კრუზ აზულმა“. გუნდმა წლევანდელი სეზონი წარუმატებლად დაიწყო, მაგრამ მაინც შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ბოლო ტურში „ესპანიოლის“ დამარცხებით (3:0) ჩემპიონი გახდა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 18 აგვისტო. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04717